დოქტორანტურა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით

1. შეთანხმება სადოქტორო პროგრამის განხორციელებაზე
სადოქტორო პროგრამის განხორციელება პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით წესრიგდება ამ უნივერსიტეტთან დადებული შეთანხმებით თანამშრომლობისა და ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ. უნივერსიტეტთაშორისი სადოქტორო პროგრამის ფორმებია:
 ერთობლივი სწავლების ორგანიზება;
 დოქტორანტის თანახელმძღვანელობა;
 ერთობლივი ხარისხის მინიჭება.

2. განცხადება დოქტორანტურაში დაშვების შესახებ
2.1. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ორივე უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წინაპირობებს. 2.2 განცხადებას ამ დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად უნდა დაერთოს პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი პროფესორის თანხმობა თემის თანახელმძღვანელობაზე.

3. დოქტორანტის ხელმძღვანელი
3.1. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში დისერტაციას ერთობლივად უნდა უხელმძღვანელონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორებმა. აუცილებელია ორივე პროფესორის დასკვნა. დისერტაციის დაცვას ერთ-ერთი ხელმძღვანელი მაინც უნდა ესწრებოდეს. 3.2. თუ სადისერტაციო საქმის წარმოება უპირატესად პარტნიორ უნივერსიტეტში მიმდინარეობს, მოქმედებს პარტნიორი უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების პირობები. **4.** დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს გასცემს ის უნივერსიტეტი, რომელშიც დაცული იქნა დისერტაცია პარტნიორი უნივერსიტეტის მითითებით. **5.** დისერტაციის წარდგენისა და დაცვის ენა დისერტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულად და პარტნიორი უნივერსიტეტის სამუშაო ენაზე. იგივე წესი ვრცელდება დაცვასთან დაკავშირებით.